ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი №5

ქ. ლანჩხუთი

31.07.2025 წელი
16:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, კომისიის წევრები: ია მოქია, სპარტაკ კვაჭაძე, ვლადიმერ ნანაძე და ვერიკო კვირკველია.

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **როლანდ ლაშხია.**

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ალექსანდრე მახათაძე/

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე-5, წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიას გააცნო სხდომის თავმჯდომარემ **ალექსანდრე მახათაძემ.** მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 09 ივლისის N1098 განკარგულებით განსაზღვრული დელეგირების საფუძველზე განხორციელდეს მუნიციპალიტეტში საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოები 469537 ლარის ფარგლებში, მიზნობრივი გრანტის ხარჯზე. ტურიზმის განვითარების ხელშეწყობაზე მიიმართოს (გრანტის თანხა) 53299 ვიზიტორთა ცენტრის მშენებლობაზე, საბანკო გარანტიის თანხის უკან დაბრუნება. ა(ა)იპ სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრის შრომის ანაზღაურების მუხლის 165000 ლარით შემცირების ხარჯზე 150000 ლარით გაიზარდოს საქონელი და მომსახურეობის მუხლი (კვება), 15000 ლარით სოც. უზრუნველყოფის მუხლი.

როლანდ ლაშხიამ აღნიშნა, რომ მთავრობის განკარგულების საფუძველზე მუნიციპალიტეტს რეგიონალური განვითარების ფონდიდან დამატებით გამოეყო თანხები. კერძოდ, ჯურუყვეთის ცენტრალური გზა და ლესის გზის რეაბილიტაციის დაფინანსება გაიზარდა 84250 ლარით. ასევე გაიზარდა სოფელ ხიდმაღალაში შიდა სასოფლო გზებისა და სოფელ შრომისუბნისა და მოედნის გზის რეაბილიტაციის დაფინანსება 442067 ლარით. მინი სტადიონების მშენებლობის დაფინანსება გაიზარდა 602807 ლარით, აქედან რეგიონული განვითარების ფონდიდან უნდა გამოიყოს 505414 ლარი

და ადგილობრივი ბიუჯეტიდან-97377 ლარი.

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს.

მომხრე-5, წინააღმდეგი-არცერთი.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე: **ალექსანდრე მახათაძე**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის დასკვნა №5

ქ. ლანჩხუთი 31.07.2025 წელი

2025 წლის 31 ივლისს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე : ალექსანდრე მახათაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის
წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

31.07.2025 წელი
16:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ალექსანდრე მახათაძე	15 50	
2	ია მოქია	15:58	
3	გიორგი ჩახვაძე	არ ესწრებოდა	
4	სპარტაკ კვაჭაძე	15 – 58	
5	კახა თედორაძე	არ ესწრებოდა	
6	ვლადიმერ ნანაძე	15 55	
7	გიორგი გოგუაძე	არ ესწრებოდა	
8	ვერიკო კვირკველია	16 00	
9	ჯუმბერ ბლაგიძე	არ ესწრებოდა	